სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 4,205.3 მილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისაგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 24 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.9%-ს.

სახელწმიფო ვალის სტრუქტურა 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით



სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 72% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელწმიფო საგარეო ვალის 51% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა

2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			**4,205,261**	**7,025,729**		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,901,992**	**4,848,358**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	774,385	1,191,034	1,989,861	0.75%	0.212%
		92,058	141,589	236,553	2.00%	0.067%
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	216,690	216,690	362,024	0.47%	0.024%
		54,831	54,831	91,607	0.67%	0.009%
		10,000	10,000	16,707	0.83%	0.002%
		33,500	33,500	55,968	0.85%	0.007%
		95	95	159	0.88%	0.000%
		77,829	77,829	130,030	0.87%	0.016%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	13,824	21,262	35,523	0.75%	0.004%
		2,937	4,517	7,546	0.43%	0.000%
IMF PRGF (NBG)	SDR	49,000	75,364	125,911	0.50%	0.009%
IMF SBA (NBG & MOF)	SDR	225,138	346,270	578,514	1.09%	0.090%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	USD	2,580	2,580	4,310	1.36%	0.001%
	EUR	895	1,232	2,058	1.35%	0.034%
		75,971	104,519	174,620		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	140,514	216,115	361,064	1.00%	0.051%
		38,464	59,159	98,836	1.60%	0.023%
		46,879	72,102	120,460	1.00%	0.017%
	USD	100,000	100,000	167,070	0.51%	0.012%
		6,514	6,514	10,883	0.83%	0.001%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	83,533	114,922	192,000	1.10%	0.030%
	EUR	34,700	47,739	79,758	1.17%	0.013%
	EUR	3,000	4,127	6,896	1.21%	0.001%
ორმხრივი კრედიტორები			**800,153**	**1,336,815**		
ავსტრია	EUR	10,930	15,037	25,123	1.00%	0.004%
აზერბაიჯანი	USD	12,353	12,353	20,638	3.00%	0.009%
თურქმენეთი	USD	211	211	353	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	23,610	23,610	39,446	3.00%	0.017%
ირანი	USD	9,651	9,651	16,124	3.00%	0.007%
რუსეთი	USD	101,632	101,632	169,796	4.00%	0.097%
სომხეთი	USD	14,673	14,673	24,513	3.00%	0.010%
უზბეკეთი	USD	304	304	508	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	277	277	464	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	46,402	4.00%	0.026%
ჩინეთი	CNY	27,000	4,431	7,403	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	42,490	58,457	97,664	2.00%	0.028%
		75,000	103,183	172,388	6.06%	0.149%
		1,211	1,666	2,784	4.20%	0.002%
		135,429	186,319	311,284	0.75%	0.033%
იაპონია	JPY	3,767,912	38,338	64,051	2.30%	0.021%
		1,180,752	12,014	20,072	0.01%	0.000%
		5,443,959	55,391	92,542	0.65%	0.009%
		264,515	2,691	4,496	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	6,183	21,943	36,660	3.00%	0.016%
ნიდერლანდები	EUR	710	977	1,633	1.35%	0.000%
		204	280	468	4.20%	0.000%
		1,265	1,740	2,908	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	12,770	2.25%	0.004%
		651	651	1,087	1.50%	0.000%
		11,486	11,486	19,189	2.50%	0.007%
		11,563	11,563	19,318	2.00%	0.005%
საფრანგეთი	EUR	17,259	23,745	39,670	1.10%	0.006%
		37,879	52,112	87,064	2.15%	0.027%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**835,350**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	835,350	6.875%	0.817%
გარანტირებული კრედიტები			**3,116**	**5,206**		
გერმანია (KfW)	EUR	2,265	3,116	5,206	0.75%	0.001%
					საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	**1.922%**

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების გამოყოფას 600,000.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მსოფლიო ბანკის განვითარების პოლიტიკის მესამე ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია 136,000.0 ათასი ლარი და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი 300,000.00 ათასი ლარის ოდენობით ბიუჯეტის მხარდასაჭერად. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 720,000.00 ათასი ლარი, საიდანაც 529,000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 191,000.00 ლარი - პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2014 წლისათვის

ლარი

კრედიტორები	ძირითადი თანხა	პროცენტის თანხა	სულ 2013
	529,091,237	***190,921,315***	***720,012,552***
ავსტრია	-	241,553	241,553
კუვეიტი	4,011,918	1,259,973	5,271,892
იაპონია	7,509,838	3,064,467	10,574,305
გერმანია	32,862,670	15,835,321	48,697,991
აშშ	2,720,703	1,156,228	3,876,931
სომხეთი	1,631,520	735,570	2,367,090
აზერბაიჯანი	1,281,262	616,066	1,897,328
ირანი	1,019,591	480,305	1,499,897
ყაზახეთი	16,257,552	17,782,976	34,040,528
ნიდერლანდები	272,015	153,420	425,435
რუსეთი	11,040,799	6,813,448	17,854,248
თურქეთი	2,435,980	1,276,464	3,712,444
თურქმენეთი	-	14,917,500	14,917,500
უკრაინა	36,835	13,379	50,215
უზბეკეთი	40,337	14,649	54,985
საფრანგეთი	14,722,113	2,903,087	17,625,200
ჩინეთი	918,000	-	918,000
EC	-	-	-
CEB	-	-	-
IDA	60,058,706	21,825,914	81,884,620
IBRD	2,369,469	9,290,763	11,660,232
IFAD	913,661	553,277	1,466,939
EBRD	24,355,582	5,674,942	30,030,523
EIB	2,272,837	8,169,213	10,442,050
ADB	14,166,667	10,595,988	24,762,655
IMF	328,193,181	9,109,311	337,302,492
ევროობლიგაცია	-	58,437,500	58,437,500

უარყოფითი შოკი ცვლად საპროცენტო განაკვეთებზე და გაცვლით კურსზე

ათასი ლარი	2014 წლის ბიუჯეტი	½ სტანდარტული გადახრის შოკი ცვლად საპროცენტო განაკვეთებზე	½ სტანდარტული გადახრის შოკი გაცვლით კურსზე (USD/GEL)
სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება (ძირითადი+პროცენტი)	720,000.00	751,300.00	755,300.00
%-ად ბიუჯეტის შემოსავლებთან	9.1%	9.5%	9.6%

შენიშვნა: ½ სტანდარტული გადახრის შოკი ბოლო 10 წლის მონაცემებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 1,316 მილიონ ლარს, აქედან 702.02 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 614.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-თვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

სახელმწიფო საშინაო ვალი	**1,316,866**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**702,020**
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	125,000
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	293,000
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	219,020
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	65,000
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	**614,846**
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-თვის	480,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის	134,000

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს".

2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულების ცვლილებას 600,000.0 მილიონი ლარის წმინდა ზრდით. აქედან არა უმეტეს 200 000.0 ათასი ლარი გამოყენებულ იქნება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის, რაც გულისხმობს 2 და 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიას წინასწარ განსაზღვრული მოცულობით და მათ შეთავაზებას კომერციული ბანკებისთვის. ბანკების სურვილის შემთხვევაში ისარგებლონ შეთავაზებული მექანიზმით, ფინანსთა სამინისტროს მიერ ემისიით მიღებული სახსრები განთავსდება დეპოზიტზე ამავე კომერციულ ბანკებში, იგივე ვადით და განაკვეთით, რომელიც აღემატება შესაბამისი ემისიის საპროცენტო განაკვეთს. შედეგად, კომერციულ ბანკებს გაუჩნდებათ გრძელვადიანი ფინანსური რესურსი ეკონომიკის დაკრედიტებისათვის და ექნებათ შესაძლებლობა შეძენილი ფასიანი ქაღალდები გამოიყენონ გირაოდ მოკლევადიან რესურსზე მოთხოვნის შემთხვევაში ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2014 წლის განმავლობაში განხორციელდება სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისია 910,000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, ხოლო დაფარვა 310,000.0 ათასი ლარის მოცულობის ნომინალური ღირებულებით. ასევე განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა 43,093.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო დასაფარი ძირითადი თანხის მოცულობა – 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

2014 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის მოცულობა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 35.5%-ს, აქედან სახელწმიფო საგარეო ვალი დაახლოებით 26.7%-ს, ხოლო სახელწმიფო საშინაო ვალი დაახლოებით 8.8%-ს შეადგენს.

სახელმწიფო საგარეო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2014 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა		**7,825,945**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან		**5,391,288**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	3,294,274
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	55,191
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	98,912
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	197,199
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	972,009
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	473,703
7	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	300,000
ორმხრივი კრედიტორებისაგან		1,500,717
1	ავსტრია	26,013
2	აზერბაიჯანი	19,571
3	თურქმენეთი	359
4	თურქეთი	37,440
5	ირანი	15,240
6	რუსეთი	159,684
7	სომხეთი	22,953
8	უზბეკეთი	458
9	უკრაინა	418
10	ყაზახეთი	47,216
11	ჩინეთი	6,528
12	გერმანია	589,176
13	იაპონია	349,874
14	კუვეიტი	33,549
15	ნიდერლანდები	3,126
16	ამერიკა	49,195
17	საფრანგეთი	139,917
სხვა საგარეო ვალდებულებები		**850,000**
1	ევრობონდები	850,000
სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები		**4,971**
1	გერმანია	4,971
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)		**78,968**
საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა		**2,584,171**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	440,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	132,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	150,000
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,189,000
5	ისტორიული ვალი	672,325
სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა		**10,410,116**

შენიშვნა: კურსი - 1 აშშ დოლარი=1.7 ლარი